საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3929/01
21/04/2021

3929-01-2-202104211401

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადება (N18280), რომელიც ეხება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ 102 (კმ 101+334), მდ. ტვიბარზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი ჰიდროლოგიური ანგარიშის ნაწილში მოყვანილ გაანგარიშებაში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია წყლის საანგარიშო ხარჯების შესახებ. გზშ-ის ანგარიშში მოცემული წყლის საანგარიშო ხარჯის გამოსათვლელ ფორმულაში, წარმოდგენილი მონაცემების გაანგარიშების მიხედვით, მიღებულია ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემებისაგან განსხვავებული მნიშვნელობა. კერძოდ, ჰიდროლოგიურ ანგარიშში მოცემული მონაცემების შესაბამის ფორმულაში შეტანის შედეგად დგინდება, რომ საანგარიშო ხარჯის (1% უზრუნველყოფის) განსხვავებული მნიშვნელობა მიიღება (26,1მ^3/წმ), რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება წარმოდგენილ ხარჯს (12,6 მ^3/წმ). შესაბამისად ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული შენიშვნის შესაბამისად დაზუსტებული ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა. ზემოაღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044